ერთი წუთით ადრე...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 7 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “ტორპედო” (მოსკოვი) 0:1 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია (ასათიანი), ნოდია, დათუნაშვილი.

“ტორპედო”: კავაზაშვილი, ანდრეიუკი, პახომოვი, სარაევი, ვორონინი, მარუშკო, შალიმოვი, სტრელცოვი (პაისი), ლენიოვი, ბრედნევი, მიხაილოვი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

დუბლიორები _ 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

დასანანი დამარცხებაა, როცა მატჩის დასასრულს აკლია ერთი წუთი და მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევ მეორეხარისხოვანი შეტევა გოლად აქციოს მცველთა შეცდომის შედეგად. გუშინდელი თამაში კი დინამოელებს არ უნდა წაეგოთ, არც მისი მსვლელობის მიხედვით და არც იმ მომენტში, როცა მიხაილოვის წინ 3 მცველი იმყოფებოდა. მაგრამ შეცდომა შეცდომაა და მიხაილოვმაც არ დააყოვნა მისი გამოყენება: შორეულ კუთხეში დაარტყა. ურუშაძემ წამით დააგვიანა _ 0:1.

თბილისელთა გეგმა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა “ტორპედოს” მთავარი შემტევი ძალის _ სტრელცოვის ნეიტრალიზებას. საამისოდ მას პერსონალური მცველი დაუყენეს ხურცილავას სახით და ამ ორი ძლიერი ფეხბურთელის “დუელი” დამთავრდა იმით, რომ სტრელცოვი სრულიად უსარგებლო გამოდგა გუნდისთვის (ამიტომ მეორე ტაიმში შეცვალეს კიდეც).

ამის შემდეგ “დინამოს” თავისუფალი მოქმედების მეტი საშუალება მიეცა. მართალია, მასპინძელთა უპირატესობას არა ჰქონია გადამწყვეტი ხასიათი, მაინც თამაში მეტწილად ტორპედოელთა მხარეს მიმდინარეობდა. ხურცილავას კარგი გადაცემა კარის გასწვრივ ვერ გამოიყენეს თავდამსხმელებმა, შემდეგ კუტივაძემ სწრაფად გაითამაშა საჯარიმო ბურთი მეტრეველთან და ამ უკანასკნელმა იგი ძელს მოახვედრა. ერთი სიტყვით კავაზაშვილს მეტი დატვირთვის გადატანა მოუხდა, ვიდრე ურუშაძეს და “ტორპედოს” მცველებსაც უფრო ხშირად უხდებოდათ ბრძოლაში ჩაბმა. მაგრამ ასეთ ვითარებაში მოსკოველებმა საიმედოდ გაამაგრეს ზონა საჯარიმო მოედნის ფარგლებში, ხოლო კონტრშეტევებისთვის წინ დატოვეს შალიმოვი, პაისი და მიხაილოვი.

89-ე წუთისთვის ჩვენი გუნდი კარგავდა მხოლოდ ქულას. შემდეგ კი მოხდა ის ამბავი, რაც ზემოთ აღვწერეთ და დანაკარგმა 2 ქულას მიაღწია. დასანანი დამარცხებაა.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 8 აპრილი, 1967 წ.